№ 220
სამშაბათი, 10 ოქტომბერი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მ. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 220
სამშაბათი, 10 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

მღვდელი ილია და ძმები: ზაქარია, დავით, ალექსი და ვასილი ნიკოლოზის ძენი დეკანოზიშვილები და დარია დავითის ასული, მარიამ სოლომონის ასული, ელი აბედ კონსტანტინეს ასული, ელისაბედ ეგნატეს ასული და ნინო გაბრიელის ასული დეკანოზიშვილები შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველნი საყვარელის დედისას, ხოლო მეორენი დედამთილისას,

**ნინო გიორგის ასულის დეკანოზიშვილისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ სოფ. რუსში მიცვალებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად სამშაბათს, 10 ოქტომბერს. (2—204—2)

**აბრეშუმის ქსოვილები**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფებითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—33) მმართ. ამხ. ნ. წერეთელი

კვირას, 15 ოქტომბერს, ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში, დილის 11 საათზედ, მოხდება ქართულ-დრამატიულ საზოგადოების წევრთა

**საზოგადო კრება**

კრების საგნებია:

1, ანგარიში საზოგადოების წარსული წლის მოქმედებისა,

2, ანგარიში სარევიზიო კომისიისა,

3, გამგეობის მოხსენება ქართულთეატრის შენობის იჯარით აღების შესახებ,

4, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა,

5, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—2)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**შ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არშანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

**სკოლა და პანსიონი**
ა. მამულაიშვილისა
ამზადებს ბავშვებს სხვა-და-სხვა სასწავლებლისათვის.
ოლგის ქუჩა (Ольгинская), სახლი დრობიშევისა, (10—188—8)

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი კვირას, ნაშუადღევის 2 საათზედ უკვე დაბრუნდა ბაქოდგან ტფილისში.

*** როგორც შევიტყვეთ, სამშაბათს, 3 ოქტომბერს, ქ. თელავში თელავის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თავ. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით კრება ჰქონიათ თელავის მაზრის თავად-აზნაურთა იმის შესახებ, თუ რა უყონ იმ ფულებს, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დამფუძნებელთ უბრუნდებათ უკანვე სათავად-აზნაურო ბანკიდგან. კრებას სიღნაღის მაზრის დამფუძნებელ წევრებთან შეთანხმებით ერთხმად დაუდგენიათ: შეერთდნენ თელავისა და სიღნაღის მაზრის ბანკის დამფუძნებელნი წევრნი, გამოიტანონ ბანკიდგან საწევრო ფული და ეს ფული თელავისა და სიღნაღის თავად აზნაურთა სრულს განკარგულებაში იყოს, ასე რომ შეეძლოთ ამ ფულით ორივე მაზრისათვის რაიმე საზოგადო სასარგებლო დაწესებულების შექმნა. ამასთანავე კრებას მიუნდვია მაზრის წინამძღოლის თავ. ჩოლოყაშვილისათვის თავად-აზნაურთა სახელით მიელოცა თავ. ი. გ. ჭავჭავაძისათვის ავადმყოფობისგან რჩენა. მოგვყავს აქავე ამ დეპეშის შინაარსიც: „თავ. ილია გრიგოლის ძეს ჭავჭავაძეს: თქვენის სამშობლოს თელავის მაზრის თავად-აზნაურობამ კერძო კრებაზედ მომანდო მოგილოცოთ ავადმყოფობისაგან მშვიდობით განკურნება და გისურვოთ მრავალ-ჟამიერ დღეგრძელად ყოფნა

## ფელეტონი

### ბელგიაში მგზავრობა

(საკუთარის თანამშრომლისაგან)

წერილი მე XII

თბილი, მოწმენდილი დღე იყო, როდესაც ჩვენი გემი ოსტენდეს მიუახლოვდა. ვაკე და დაბალი ნაპირი ერთფეროვან გრძელ სუფრასავით გაჭიმულიყო. შორს, ძალიან შორს ზღვის ნათელ ნისლში იკარგებოდა ეს ქვიშით დაფენილი ნაპირი; არ მოსჩანდა იქ არც გორები და არც ხეები. გარეშემო არაფერი არ იზიდავდა კაცის თვალს. მაგრამ, აგერ, თანდათან გამოცურდა და გამოჩნდა ზღვის დაბალი კიდე და ოც-დაათიოდე უზარმაზარი შენობა: სასტუმროები და გასართობი სახლები. ოსტენდემ ისევე, როგორც ტრიუვილმა, ბულონმა და დიეპმა, სახელი ამ ქვიშიან ნაპირის წყალობით გაითქვა, ნაპირისა, რომელიც ნელნელა იწევს და დაბლდება და რომელიც ყოველ წელიწადს ათი-ათასობით იზიდავს მობანავეებს, განსაკუთრებით მობანავე მანდილოსნებს; ხოლო ამათთან ერთად ოსტენდეს თავიანთ სტუმრობას არ აკლებენ ათი-ათასნი სხვანიც, უქმად მოხეტიალენი და გართობა-ნეტარებათა მაძიებელნი.

— არ მიყვარს ეს ოსტენდე,— მეუბნებოდა ჩემი თანამგზავრი ბელგიელი.—ეს საბანაო და დასასვენებელი ადგილი-კი არა, აუწერელ განცხრომა-ფუფუნებისა, მორთვა-კოპწიაობისა და კილვა-ჭორების ადგილია. სასტუმროებში საოცარი ფასებია... აგერ, ჰხედავთ აიმ დიდ შენობას სანაპიროს ბოლოში? ეს უპირველესი, სახელგანთქმული სასტუმროა ამ სასტუმროში ჩამოხტა აქ ყოფნის დროს თვით სპარსეთის შაჰი. დღე-ღამეში ბელ-ეტაჟის მარტო ერთ ნაწილში 1500 ფრანკს ართმევდნენ შაჰს... ასეთსავე ფასებს იღებენ ამერიკელებისაგან ყველა სხვა სასტუმროშიაც. ერთის სიტყვით, საშუალო შეძლების კაცს აქ ადგილი არა აქვს; უკანასკნელ სასტუმროს უბრალო ოთახის დაქირავებასაც-კი ვერ შესძლებს ასეთი კაცი.

— მაშ ვინ არიან ამ უზარმაზარ შენობათა სტუმარნი? ნუ თუ მარტო გვირგვინოსანნი და ამერიკელნი?

ჩემმა თანამგზავრმა ცბიერად გაიღიმა.

— ვინა? ვინ არიან სტუმარნი ამ სასტუმროებისა, რესტორანებისა? ვინ დასეირნობენ აგერ აიმ მოტვლეპილ, ქვიშიან ნაპირზედ? ვინა და ქვეყნის მფლობელნი და მოდათა კანონმდებელნი.

— არ მესმის...

— ქვეყანას ჰბატონობენ ბანკირები და საფინანსო-სამრეწველო ამხანაგობათა დამაარსებელნი, ხოლო მოდათა საბრძანებელში კანონმდებლობენ არტისტი ქალნი და საეჭვო მანდილოსანნი... როდსი და ნანა, აი ესენი, ამ გვარი ვაჟბატონები და ქალბატონები არიან დღევანდელნი მეფენი და დედოფალნი. გაზვიადებული არ გეგონოთ: მეფობენ ისევე, როგორც ნამდვილი გვირგვინოსანი მეფენი. ეს ახალის ჯურის მეფენი გართობა-დროს-გატარებაშიაც-კი მოუხეშავნი და უვიცნი არიან, ბოროტნი, შურიანნი, მაგრამ მაინც მეფობენ და ბრძანებლობენ. დარდისაგან იხოცებიან, არ იციან, დრო როგორ გაატარონ... დღეში სამჯერ ოთხჯელ ტანისამოსს იცვლიან, ტენისს თამაშობენ, რულეტკასთან ამოთქნარებენ... გონების სიდუხჭირისა და სულიერ სიცალიერისაგან ამ ვაჟბატონებს ვერაფერი ვერ იხსნის: ვერც მდიდრული ტანისამოსი, ვერც ტენისი, ვერც ბანქო, ვერც რულეტკა და ვერც უზომო, წრეს-გადასული გართობა-ქეიფი... აი თვით გაიცნობთ ამ ხალხს...

— მე ოსტენდეში არა ვრჩები. ვერა ვნახავ გამოწყობილ აქაურ მანდილოსნებს. არც მონატრული ვარ ამას. უკვე მინახავს: ბულონის ტყე, ტრუვილი, ნიცცა, ოსტენდე—არაფრით განირჩევიან ერთმანეთისაგან, ყველგან ერთი და იგივე სურათია... ასე არ არის?

— ჭეშმარიტებაა. სულ ასი, ას ორმოცდა-ათი ათასის კაცისა და ქალისაგან შესდგება მდიდართა ეს საერთაშორისო ბრბო. გასართობი, დროს გასატარებელი ადგილები და კურორტები მარტო ამ ბრბოს წევრებითაა სავსე.

გემი ხის ნავთ-საყუდელს მიენდო. მგზავრები პატარა ხიდთან შექუჩდნენ. ჩემმა თანამგზავრმა, ახალგაზდა ბელგიელმა ინჟენერმა, გაიგო რა, რომ ანტვერპენსა და ლიეჟში მივდიოდი, მითხრა, მეც ამ გზით მოვდივარ და ვაგონში ორივესთვის კუპეს დავიჭერო. სიხარულით მივეგებე ბელგიელის წინადადებას. იმაზედ სასიამოვნო არაფერია, როდესაც გზაში შეჰხვდებით განათლებულს, მოლაპარაკეს და ზრდილობიან შვილს იმ ქვეყნისას, რომელზედაც მოგზაურობთ. ჩემი მოსაუბრე-კი მოლაპარაკეც იყო, ზრდილობიანიც და დიდად განათლებულიც. საზოგადოდ მცხოვრებნი დიდ ყურადღებას აქცევენ იმ მგზავრებს, რომელთაც აქაურის ხალხის ცხოვრება აინტერესებთ. ისეთი განათლებულნი ახალგაზდანი, როგორიც ჩემი თანამგზავრია, თავიანთ მოვალეობადაცა სთვლიან ყველაფერში შემწეობა და დახმარება აღმოუჩინონ მგზავრს, რათა ყველამ კარგად გაიცნოს იმათი სამშობლო, დააფასოს და შეიყვაროს. ხოლო განათლებულ ბელგიელს ბევრი რამა აქვს საამაყებელი, ბევრი რამ მოეპოვება ისეთი, რისთვისაც უყვარს თავისი პატარა და ჭეშმარიტად აღყვავებული სამშობლო.

მატარებელი დაიძრა. ხუთის წუთის შემდეგ უკვე ქალაქს გარეთ ვიყავით. ჩვენ თვალ-წინ ამწვანებული და მოვლილ ბოსტანსავით დამუშავებული მინდვრები გადაიშალა. ამ მსწრაფლმა გასვლამ ქალაქიდგან სოფლად დიდად მასიამოვნა და გა-

ჩვენის ქვეყნის სასიკეთოდ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ჩოლოყაშვილი“.

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ ორი უკანასკნელი სხდომა, კვირას და ორშაბათს, მოანდომა ტფილისის სათავად-აზნაურო ქარვასლის მდგომარეობის გამორკვევას. დამსწრეთა შორის დიდი კამათი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თავად აზნაურთა მმართველი კომიტეტი, თავად-აზნაურთა მორიგ კრების დადგენილების წინაალმდეგ, თვისის ნებით შეუდგომია სათავად-აზნაურო თეატრის შენობის შეკეთებას, პირობა დაუდვია „უნიონის ფირმის“ წარმომადგენელთან საელექტრონო სადგურის გამართვის შესახებ და სხვანი, რაისათვისაც კომიტეტს ხარჯი მოსვლია სულ 20,000 მანეთამდე. დიდი ხნის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა ამორჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდოს მამულის მმართველ კომიტეტის მოქმედების სრული რევიზიის მოხდენა; სარევიზიო კომისიამ თვისი მოხსენება უნდა წარუდგინოს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს 1901 წლის 1 იანვრამდე. რადგანაც ზოგიერთებმა ამასთანავე განაცხადეს, სასურველიაო შეიცვალოს სათავად-აზნაურო მამულის მართვის ეხლანდელი წეს-რიგი, კრებამ დაადგინა მიენდოს იმავე კომისიას შეიმუშავოს პროექტი მამულის მართვა-გამგეობის წესისა და წარმოუდგინოს თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას მოხსენებასთან ერთად. სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი, თავ. ვ. გ. მაჩაბელი, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, გენერალი ა. სარაჯიშვილი, მკურნალი გ. დ. გაბაშვილი და ი. გ. თულაშვილი.

შემდეგ კრება შეუდგა სათავად-აზნაურო მამულის მმართველ კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების ამორჩევას, მათ ნაცვლად, რომელთაც უარი განაცხადეს თავისს თანამდებობაზედ. კომიტეტის თავმჯდომარედ მომავალ წლის 1 იანვრამდე ერთხმად ამორჩეულ იქმნა პოლკოვნიკი თავ. ა. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელმაც განაცხადა, რომ ვიკისრებ თავმჯდომარის თანამდებობას, მხოლოდ ვიდრე სარევიზიო კომისია მამულის მმართველ კომიტეტის მოქმედებას გამოარკვევდეს, ვთხოვოთ კომიტეტის წევრებს დარჩნენ თავისს თანამდებობაზედაო. კრებამ დაადგინა ეთხოვოს იმ წევრთ, რომელთაც უარი განაცხადეს, დარჩნენ თავიანთს თანამდებობაზედ საქმის გამორკვევამდე. ამავე კრებაზედ თავმჯდომარის გენერალ-მაიორის საგინაშვილის წინადადებით კრებამ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა განსვენებულ გენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის ხსენებას და, თავ. დ. ზ. მელიქიშვილის განცხადების თანახმად, დაადგინა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრების სახელით სამძიმარი გამოეცხადოს განსვენებულ მამაცაშვილის სახლობას. კრება ნაშუადღევის 2 საათზედ დასრულდა.

*** შაბათს, 7 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში შეერთებული სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს ტეხნიკის ხმოსანთა ინჟენერ მუხარინსკისა და რაგოლერის თანადასწრებით, რათა განეხილა ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორის მიერ წარდგენილი ქალაქის ელექტრონის რკინის გზის პროექტი. კრებამ დაადგინა: 1) ამორჩეულ იქმნას მცირე კომისია ინჟინერთა ბ-ნთ ტ. ა. ეფენჯიანცისა, ს. ა. მუხარინსკისა და ი. ა. რაგოლერისაგან, რომელსაც მიენდოს დაწვრილებით ამ პროექტის განხილვა, ასე რომ თვისი მოხსენება ამ საქმის შესახებ წარმოუდგინოს კრებას 21 ამა ოქტომბრამდე, 2) წინადადება მიეცეს ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორს ბ-ნს რომბის წარმოუდგინოს ქალაქის გამგეობას ორი'ა კვირის განმავლობაში ელისაბედის ქუჩაზედ დიდუბის ეკკლესიამდე ცხენის რკინის გზის გამართვის პროექტი და 3) თუ ვინიცობაა მცირე კომისიამ ორის კვირის განმავლობაში ვერ მოასწრო თვისის მოხსენების წარმოდგენა, მიენდოს ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ჩერქეზიშვილს მოიწვიოს ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად ქალაქის საბჭოს ტეხნიკოსი ხმოსნები.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამჟამად იმ წესების გადასინჯვას შესდგომია, რომლითაც გუბერნიის დაზარალებულ თავად-აზნაურთა დახმარების აღმოჩენის დროს ხელმძღვანელობენ ხოლმე. კომიტეტს თურმე განზრახვა აქვს ეს წესები შესცვალოს.

*** 1899 წლის განმავლობაში კავკასიის სამთო სამმართველოს 253 კაცისათვის მიუცია ნება-რთვა სხვადა-სხვა სასარგებლო ნივთიერებათა საძიებლად იმ ადგილებში, რომლებიც გლეხებს უჭირავთ. ხოლო რაც შეეხება საუფლისწულო მამულების სამმართველოთ, ამათ მიუციათ სულ 621 ნებართვის მოწმობა, რომ სახელმწიფო მამულებში მოიძებნოს, სად რა სიმდიდრე აღმოჩნდება. ნავთის აღმოსაჩენად ნება-რთვა მიუღია 417, რკინისა—108, სპილენძისა—31, ქვა-ნახშირისა—56, შავი ქვისა—5, კობალტისა—2, აზბესტისა—1 და მთის ფისის აღმოსაჩენად—1. (В. горн. д. и ороп. на Кавк.“).

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მართვა-გამგეობამ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ-ნის იანოვსკის პეტერბურგში ყოფნისა გამო, სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ბ-ნი შენგერი შეუდგა.

*** სამეურნეო იარაღების თელავის საწყობის გამგე სთხოვს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ტფილისის საწყობს, რომ, რაც გუთნები გვქონდა, მთლად გაიყიდა და გთხოვთ ახლები გამოგვიგზავნოთო.

*** როგორც პეტერბურგიდგან იუწყებიან, გარდაწყვეტილი თურმეა, რკინის გზის კანტროლში მსახურ ქალების რაოდენობა შეამცირონ და დაიყვანონ იმ ზომამდე, რომ მსახურ ქალთა რაოდენობა მთლად ყველა მსახურთა რაოდენობის 5%-ს არ აღემატებოდეს.

*** შაქრის ფასმა რამდენადმე დაიწია ტფილისში, რადგანაც ამ ბოლოს დროს ოდესიდგანა და კიევიდგან დიდი ძალი შაქარი ჩამოვიდა. ფუთი შაქარი, რომელიც აქამდე 6 მან. და 70 კაპ. იყიდებოდა, ახლა 6 მან. და 50 კ. ფასობს.

*** გორიდგან გვატყობინებენ: „ამ დღეებში სოფ. თეზში დროებით მცხოვრებს დავით სილაღაძეს ფანჯარა გადაუმტვრიეს და მოჰპარეს: რამდენიმე ფასიანი ქაღალდი, ვექსილები და ფულად, სულ 30 ათასი მანეთისაო. ეჭვი სილაღაძემ დუშეთის მცხოვრებ მიხა ბერბერაშვილზედ მიიტანა, რომელსაც მართლა აღმოაჩნდა ფულად 555 მან. და ვექსილები და ფასიანია ქაღალდებიც თივაში დაემალნა იმავე სოფელშიო. ბერბერაშვილი დაპატიმრებულიაო“.

*** სახაზინო გლეხების ადგილ მამულის და მოსახლეობის გამწეს-რიგებელ კომისიას, რომელიც ამჟამად მუშაობს ტფილისში, გარდაუწყვეტნია, რომ საქმის დასაჩქარებლად კვირა-უქმე დღეებშიაც შეიკრიბნენ ხოლმე. კომისიის მუშაობაში ბ-ნის მედვედევის მიერ საგანგებოდ მოწვეულნი სპეციალისტნიც იღებდნენ მონაწილეობას.

*** როგორც „პრიაზ კრაი.“-ს ატყობინებენ დეპეშით, 2 ოქტომბერს ფინანსთა მინისტრი ს. ი. ვიტტე დასამხედრო მინისტრი ა. ნ. კუროპატკინი იალტიდგან სოჭაში წამოსულან.

*** ამ წინაზედ ტფილისის რამდენმამე ფულის პატრონმა ნებართვა ითხოვა, რომ ტფილისში ქონის სახდელი და საპნის ქარხნები დაეარსებინათ. ახლა, როგორც შევიტყეთ, საგანგებო კომისსიას, ამ აზრით ამორჩეულს, გადაუწყვეტნია, რომ ამ გვარი ქარხნების გახსნის ნება მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეთ, როდესაც ქარხნის შენობა ქალაქ-გარედ იქმნება და უთუოდ მდ. მტკვრის პირად აშენებული ქალაქ ქვეითო.

*** როგორც გაზ. „Биржев. Вѣд.“-ი იუწყება, იანვრიდგან პეტერბურგში სამზრუნველო თურმე არსდება იქ მცხოვრებ კავკასიელთათვის. სამზრუნველოს აზრად აქვს: აღმოუჩინოს საურთიერთო დახმარება, მისცეს დროებით სესხი და გაჭირვებულთ ფულით დაეხმაროსო. სამზრუნველოს წესდება უკვე შეუდგენიათ და დასამტკიცებლად წარუდგენიათ.

*** პეტერბურგიდგან გვწერენ, რომ „იქაური გრადონაჩალნიკი“ კლეიგელსი ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ დაინტერესებულა სტასტო ქალაქის ფარმაცევტთა უთვ-მდგომარეობითა და მიუმართავს „სტასტო ქალაქის სამკურნალო განყოფილების“ ინსპექტორ ბ-ნ სკაბიჩევსკისათვის თხოვნით, აცნობოს მას ფარმაცევტთა ახლანდელი მდგომარეობის შესახებ ცნობები და თვისი აზრი. ამის გამო სამკურნალო განყოფილებამ ამ საქმის გამოსარკვევად შეადგინა კომისია, რომელიც ბ. სკაბიჩევსკის ხელმძღვანელობით ეს რამდენიმე დღეა შეუდგა ფარმაცევტთა ცხოვრების არსებულ პირობების გამოკვლევას. ამ მიზნით ისინი დაიარებიან თვითეულ აფთიაქში (ამათი რიცხვი აქ 75, ხოლო ფარმაცევტების 500-დეა) და დაწვრილებით ჰკითხავენ თითოეულს მოსამსახურე ფარმაცევტს აფთიაქში ცხოვრების პირობებს, მათსა და მეაფთიაქეთა შორის დამოკიდებულებას და რა განკარგულებათა შემოღებაა მათის აზრით საჭირო. ჰხედავენ პირადად მათ ბინებს აფთიაქებში, კითხულობენ სადილებში სიავ-კარგეს, მუშაობის დროს პირობებს და სხვა მისთ. უველივე ესენი იწერება და უნდა წარედგინოს სამკურნალო დეპარტამენტის საბჭოს, რომლის კრებებიც მალე დაინიშნება, როგორც სახელმძღვანელო საფარმაცევტო კითხვის გადასაწყვეტად.

*** მომავალ 1901 წლის სამეურნეო სამრეწველო გამოფენისათვის პროგრამის შესამუშავებლად ტფილისის საკრედიტო საზოგადოების მიერ წარმომადგენლებად დაინიშნენ საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. თაიროვი და წევრი ი. ო. გურგენბეგოვი.

*** შაბათს, 7 ოქტომბერს, პოლიციის მე 3 ნაწილში სასტუმრო ორიანტის მო-

---

მაოცა განუზომელ და ერთფეროვან ლონდონის შემდეგ, საიდგანაც კაცი ეგრე ერთბაშად ვერ გააღწევს თავს: იქ მატარებელი მთელი ერთი საათი მიგაქანებთ ხან სახლის თავებზედ, ხან მიწის ქვეშ, ხან კიდევ რკინის გზებზედ.

ჩვენ წინ თვალ-გადაუწვდენელი და ვაკე ველი გადაიშალა. ჰორიზონტი აქ ისევე ფართოა, როგორც იმ ზღვაში, რომელსაც ეს არის ეხლა მივანებეთ თავი. მთლად ეს ველი აუარებელ წვრილ ნაჭრებად არის დაყოფილი. შეჰხვდებით აქ ნაჭრებს ერთის, ხშირად ნახევრის დღიურიდგან დაწყებული, ოთხ, ძალიან იშვიათად ხუთ დესეტინამდე. ამაზედ მეტის პატრონნი მდიდარ მემამულეებად ითვლებიან. თვითოეულ ნაჭერს ზოგს ხეების ღობე აქვს შემოვლებული, ზოგს კიდევ ვიწრო არხი, რომლის ნაპირზედაც ჩარიგებულია დაბალი, მსხვილ და რბილ ფოთლიანი ბუჩქები და ხეები. ყველა ბუჩქსა და ხეს ფოთლები და ტოტები მშვენივრად და კოხტადა აქვს შემოკვეცილი: ტოტებს ან შუშად ჰხმარობენ, ან მარგილებად, ხოლო ფოთლებს—საქონლის საკვებად. ერთ ნაჭერს, ერთ მტკაველა მიწასაც ვერსად შეჰხვდებით დაუმუშავებელს; სახლისა და სხვა შენობის კედელსაც კი არ აცდენენ აქ: ამ კედლებზედ აშვებულია ან ჯარის-კაცებივით გამწკრივებული ვაშლისა და მსხლის ტოტები, ან კიდევ თვალ-წარმტაცი ვარდის ბუჩქები.

ყოველი სახლი, უკანასკნელ ღარიბის ქოხიც კი, მწვანითა და ყვავილებითაა შემკობილი. ყველაფერს მზრუნველ მეურნის მარჯვენა ეტყობა. გზაში ხშირად ტყეებსაც შეხვდებით, სადაც მწკრივზედ ჩარიგებული ხეები გეუბნებიან, რომ ეს ტყეები კაცის ხელის ნაყოფია. ესეც კია, რომ მარტო აქ არ არის ასეთი ტყეები: ჰოლანდიაში, მაგალითად, სხვა ტყეს ვერა ჰნახავთ, თუ არ კაცის ხელით დარგულსა და მოყვანილს. მაგრამ იქაც ხომ ისევე, როგორც ბელგიაში, მეურნეობა უმაღლესადა განვითარებული, და მიწის ასეთ კულტურას მხოლოდ ბუნებისაგან მეტად დაჯილდოვებულ ლომბარდიის ველებსა და საფრანგეთის ზოგიერთ ოლქებში თუ შეხვდებით.

ვუცქერდი ამ დაუსრულებელ ბაღს—ზოგგან მთელი მიწის ნაჭრებია მარტო ყვავილებით დათესილი,—და ხმა მაღლა აღტაცებასა და გაკვირვებას ვეძლეოდი.

— ადვილი გასაგებია თქვენი აღტაცება,—მომესმა ჩემის თანამგზავრის ხმა.—მატარებელი ხომ ეხლა დასავლეთ ფლანდრიაზედ მიგვაქანებს; ვუახლოვდებით ფლანდრიის შუაგულს, ე. ი. იმ ადგილს, სადაც მეურნეობა უმაღლესადაა განვითარებული. აქ მიწას არა მარტო ჰხნავენ, ასუქებენ, რწყამენ,—მინდვრებს აქ ბარითა და თოხით ამუშავებენ ისე, როგორც სხვაგან ბაღებსა და ბოსტნებს.

— მაგრამ აქ ადგილი მეტადაა დაქუცმაცებული,—შევნიშნე,—ნუ თუ გლეხის მთელ ოჯახს ასეთის პატარა ნაჭრებით შეუძლიან თავის გამოკვება?

— რასაკვირველია, არა. ეს პატარა ნაჭრები სოფლელ მუშებს ეკუთვნით, მუშებს, რომელნიც მდიდარ ფერმებსა ან მემამულეებთან მუშაობენ. ხშირად ოჯახის წევრნი ქალაქებსა და ქარხნებშიაც მუშაობენ. ჩვენში ხალხი ისე მჭიდროდაა დასახლებული, ქალაქები და სოფლები ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ კვირა-უქმე დღე მუშას შეუძლიან სახლში გაატაროს, სადაც ოჯახის სხვა წევრნი მეურნეობას მისდევენ.

— ასეთი ცხოვრება სწორედ რომ კარგია: კაცი ბუნებას არ არის მოწყვეტილი; იგი მანქანად არ გადაქცეულა. მაგრამ ამისდა მიუხედავად ვგონებ, სიღარიბე ამ ყვავილებითა და მწვანით შემკულ სახლებში დიდია.

— ჩვენი სოფლელნი რომ ფუფუნება-განცხრომაში არა სცხოვრობენ,—ეს მართალია. ისიც მართალია, რომ ჩვენში ბევრია უმიწაადგილო, ბოგანო მუშა, რომელნიც სხვის მამულში ჰღვრიან ოფლსა... ერთის სიტყვით, სოფლის პროლეტარიატი ჩვენშიაც არის. მაგრამ საყურადღებოა ერთი მოვლენა: ბელგიიდგან ხალხი ყველაზედ ნაკლებად სახლდება, ემიგრაცია მცირეა. იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენი სახელმწიფო მჭიდროდაა დასახლებული და სოფლის მკვიდრთ პატარ-პატარა ნაჭრები აქვთ, ემიგრაცია ჩვენში უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროპის რომელსამე სხვა სახელმწიფოში.

აქ ცოტა ხანს უნდა შევდგე. შემდეგში ჩემის განათლებულის და დაკვირვებულის მოსაუბრის სიტყვები შევამოწმე და შევადარე მშვენივრად შემუშავებულ სტატისტიკას,—მეცნიერების ამ დარგის მამათმთავარი ადოლფ კეტლე ტყუილად კი არ იყო ბელგიელი,—და დავრწმუნდი, რომ იგი სრულ ჭეშმარიტებას მეუბნებოდა. აღმოჩნდა, რომ 11,373 ოთხ-კუთხს ინგლისურს მილზედ, ე. ი. ჩვენის დაღესტნის ოლქის ოდენა ადგილზედ 7 მილიონი სული სცხოვრობს. თითო ოთხ-კუთხ მილზედ 570 კაცი მოდის, თუ რამდენად მჭიდროდაა ბელგია დასახლებული, მკითხველს იქიდგან შეუძლიან გაიგოს, რომ კავკასიისა და საქართველოს უფრო დასახლებულ ნაწილში, ქუთაისის გუბერნიაში თვითო ოთხ-კუთხ მილზედ მხოლოდ 71 კაცი მოდის. ხოლო რაც შეეხება ემიგრაციას, ჩემი მოსაუბრე რაოდენადმე შესცდა: აღმოჩნდა, რომ ბელგიიდგან, ევროპის ამ უფრო მჭიდროდ დასახლებულ კუთხიდგან არავინ არ გადასახლებულა. პირიქით სხვა ქვეყნებიდგან ბელგიაში გადმოსახლებულან. დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტები ჩვენდა უნებურად გვარწმუნებენ: ხუთის წლის განმავლობაში.

გადმოსახლებულა ბელგიაში:

| 1891 წ. | 1892 | 1893 | 1894 | 1895 |
|---|---|---|---|---|
| 20741 | 21,774 | 21,583 | 21683 | 23,476 |

გადასახლებულა ბელგიიდგან:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18994 | 22,535 | 22,117 | 18,302 | 18,61 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურეს, ქუთაისის გუბერნიის სოფ. ჩუნეში მცხოვრებს ნესტორ ი. ხაჭანტურაძეს განუცხადებია, რომ ღამის 1 საათზედ, როცა მეძინა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მოიპარა სასტუმროს დერეფნიდგან პორუჩიკის თავ. ნაკაშიძის შინელიო, ღირებული 100 მან. ეჭვი არავისზედ არ მიუტანიათ.

*** არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ პოლიციის ყურადღება შემდეგს გარემოებას: ვორონცოვის ხიდს ქვემოთ რიყეზედ წყალს გამოურიყავს დამრჩვალის ცხენისა თუ კამბეჩის მძოვრი, რომელიც ისე ძლიერ გახრწნილა და აშმორებულა, რომ ხიდზედ გამვლელთ სულს უგუბებს. ნუ თუ არავინ იზრუნებს ამ ჰაერის მომშხამველ მძოვრის ამ ადგილიდგან მოშორებისათვის?!

## რუსეთი

ახლად გახსნილს ტომსკის სატეხნოლოგო ინსტიტუტის სამთო განყოფილებაზედ ყურის-მგდებლების მიღება მომავალს წელს თურმე დაიწყება შემოდგომიდგან.

—მოსკოვში ახლად დაარსებულ რუსეთის დოსტაქართა საზოგადოება სრულად რუსეთის დოსტაქართა პირველის კრების მოწვევას თურმე აპირებს. გაზ. „Россія" სიტყვით, კრებისათვის მიმდინარე წლის დეკემბრის უკანასკნელი რიცხვები თურმეა დანიშნული.

—როგორც გაზ; „Новости" იუწყება, 1899—1900 სასწავლო წლის განმავლობაში ოთხს რუს-ქალს მიუღია ბერნის უნივერსიტეტში დოქტორობის დიპლომი.

—მებაღეთა მორიგი სრულიად რუსეთის კრება, „Новости"-ს სიტყვით, 1901 წ. თურმე მოხდება ქ. სიმფეროპოლში.

— განზრახვა აქვთ პეტერბურგში სრულიად რუსეთის სასოფლო-მოქმედო საზოგადო მოღვაწეთა კრება მოიწვიონ, რომელზედაც ერობათა და ქალაქის თვით-მმართველობათა წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობას.

— რუსეთის ცნობილს პუბლიცისტსა და კრიტიკოსს ნ. კ. მიხაილოვსკის სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობის 40 წელი მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს უსრულდება. პირველი წერილები რომ „Разсвѣтъ"-ის საკრიტიკო განყოფილებაში დაბეჭდა, მიხაილოვსკი მაშინ 18 წლის ახალგაზრდა იყო.

— ამ დღეებში განმარტებულ იქმნა საყოველთაოდ, რომ ვინც რეალურს სასწავლებელს შეასრულებს და მედავითნეთ წავა, მას ეს თანამდებობა სამხედრო ბეგრისაგან არ ანთავისუფლებსო.

— მეექვსე მსოფლიო სათოსტო კონგრესი რომში დანიშნული, მომავალი სადეპეშო კონფერენცია კი — ლონდონშია 1901 წლისათვის დანიშნული.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** აჯანყება საოცრად ძლიერდება სამხრეთ ჩინეთში. დეპეშები თითქმის არაფერს იუწყებიან ამის შესახებ, სამაგიეროდ გაზეთების კორესპონდენტები ბევრს რასმეს გადმოგვცემენ. ეს აჯანყება ძალიანა ჰგავს ტაიპინგების აჯანყებას (1856 წელს მოხდა). მეამბოხეთ აზრად მხოლოდ მანჯურიის დინასტიისა და ეხლანდელის მანდარინების გადაყენება აქვთ. ისინი არც უცხოქვეყნელთ ერჩიან რასმეს და არც მშვიდობიან ჩინელთა. აჯანყება ეგრედ წოდებულმა „სამთა კავშირმა" გამოიწვია. ჰმთავრობენ ორნი კან იუვეი და სუნიაძენი. ქალაქებსა და სოფლებში მეთაურებმა ამნაირი განცხადებანი გააკრეს: „ჩვენ მანჯურების წინააღმდეგ ვმოქმედებთ. ჩვენი მიზანი მხოლოდ დაიცინგების დინასტიის გადაყენებაა. სხვა ერნი არა გვძულან. თუმცა ამავე დროს ნებას არავის მივცემთ ჩინელთა უფლების გათელვისა და ჩვენის მიწა ადგილის დასაკუთრებისას. მცხოვრებთ ნუ ეშინიათ: არავის არაფერ ვნებას არ მივაყენებთ". ვერსად ვერც ერთ შეტაკებაში იმპერატორის ჯარმა ვერ დაამარცხა მეამბოხენი. სადაც-კი ბრძოლა მოუხდათ, ყველგან ეს ჯარი იქმნა უკუქცეული. ამ აჯანყების გამო ჩინეთის იმპერატორი, იმპერატრიცა და მათი მახლობელნი დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. ამბოხებამ შანსის პროვინციამდეც მიაღწია და ეხლა აღარ იციან ჩინეთის ბრძანებელთ, საით წავიდნენ და რით უშველონ თავს: პეკინში ევროპიელთა შიშით ვერ დაბრუნებულან და სხვაგანაც დასამალი ადგილი თითქმის აღარსადა აქვთ. მეორეს მხრით, ამ აჯანყებამ ევროპიელნიც დააფიქრა. როგორც ვუწყით, მოკავშირეთა ჯარმა ყველგან დაამარცხა ჩინელები. ამ ჯარში მხოლოდ 35—40 ათასი კაცი იყო, მაგრამ მაინც ძლევა-მოსილი შევიდა პეკინში. ყველას უკვირდა და ამბობდა, მეტად სუსტი ყოფილა ეს უზარ მაზარი სახელმწიფოო. მაგრამ ეხლა ამ აჯანყებამ თვალი აუხილა ევროპასა. დარწმუნდნენ, რომ ევროპიელთა წინააღმდეგ მხოლოდ მანჯურელნი მოქმედებდნენ, მხოლოდ ერთი მცირედი ნაწილი დიდის ჩინეთისა. ეხლა აშკარად ჰხედვენ, ჩინეთის დამარცხება ეგრე ადვილი არ იქმნებოდა, მთელს სახელმწიფოს რომ მონაწილეობა მიეღო და სამშობლოს დაცვა უცხოქვეყნელთაგან ყველას ეტვირთნა.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** მეტად საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს ფრანგული გაზეთი „Matin"-ი. ამ გაზეთის რედაქტორს ლაპარაკი ჰქონია ერთ ნემეცთან, გვარად ფრანკთან, რომელსაც ოც წელიწადზედ მეტი უცხოვრნია სამხრეთ აფრიკაში და მხოლოდ ეხლა დაბრუნებულა იქიდგან. ფრანკი ამტკიცებს, რომ ინგლისს სამხრეთ აფრიკაში 270,000 ჯარის კაცი კი არა ჰყოლია, როგორც ოფიციალურად აცხადებდა მთავრობა, არამედ 450,000 ჯარის-კაცზედ მეტი. მთელი ტრანსვაალი მოფენილია თურმე ინგლისის ჯარით. მაგრამ ამისდა მიუხედავად მეტად უცნაური მოვლენა ჰხდება: ყოველთვის, როდესაც სამი-ოთხი ათასის კაცისაგან შემდგარი ინგლისის რაზმი გაიგებს ბურების მოახლოვებას, ეს რაზმი შიშისაგან გარბის და იმალება. ძნელი, მეტად ძნელი წარმოსადგენია თურმე ინგლისელების შიში და კანკალი მარტო ერთის დევეტის სახელის გაგონებაზედ. ფრანკის სიტყვით, მთელ თავისს ჯავრს ინგლისელები მშვიდობიან მცხოვრებზედ იყრიან. ჯარისკაცნი ცეცხლს უკიდებენ და ანადგურებენ ბურების ფერმებს, სძარცვავენ მოქალაქეებს, — ერთის სიტყვით, ამ საქმეებში ინგლისელხი საკვირველ სიმამაცესა და ვაჟკაცობას იჩენენ თურმე. ინგლისელები სასტიკად ექცევიან მშვიდობიან მცხოვრებთ — კაცებს, ქალებს და ბავშვებს, რათა ამ მშვიდობიან მცხოვრებთა მეომარ ნათესავთ იარაღი დააყრევინონ. სასტიკი შედეგი მოჰყვა თურმე ინგლისელთა ასეთ საქციელს: ბურებს ისე შესძულდათ ინგლისი და ინგლისელნი, რომ ამ ორის ხალხის შერიგება როდისმე ყოვლად შეუძლებელია. აქამდე ბურები კიდევ კარგად ექცეოდნენ ინგლისელებს, მაგრამ ეხლა სიკვდილს ამჯობინებენ თურმე იმათთან დალაპარაკებას.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამ რამდენისამე თვის წინად ერთ ამერიკელ მეცნიერს, გვარად გაუტონს, აღმოუჩენია ერთი მწერი, რომელიც სამაგალითოდა სცხოვრობს და ხარობს თურმე ნავთში. პირველ ხანს ეს ამბავი არავინ არ დაიჯერა. ნავთი, როგორც შხამი, ისე მოქმედებს მწერებზედ და ყველა იმას ამბობდა, ნავთში რა სულდგმული გასძლებსო, მაგრამ, როდესაც ერთ ჟურნალში დასახელებულ მეცნიერის წერილი დაიბეჭდა ამ მწერის შესახებ, ყველამ ნება-უნებურად დაიჯერა. ამ მწერის კვერცხები კალიფორნიის შტატ ლოს-ანჟელოსში უპოვნიათ ნავთის გუბეში, ნავთის ჭის მახლობლად. გაუტონს, მიუღია-რა ეს კვერცხები, ნავთით სავსე ჭურჭელში ჩაუდვია და მოუთმენლად დაუწყვია გამოჩეკისათვის ცდა. მალე მწერები გამოიჩიკნენ კიდეც. მეცხრე დღეს მწერები გამოცოცებულან ნავთიდგან და ჭურჭლის კედლებზედ და სახურავზედ ასულან. ეს მწერი ერთგვარის ბუზის, რომელსაც სახელად Ephydrideae ჰქვიან, მონათესავე ყოფილა. ამ ჯიშის ბუზი უცნაურ ადგილებს ირჩევს საცხოვრებლად, ზოგი, მაგალითად, მარილის ზოდებში სცხოვრობს, ზოგი კიდევ ზღვის ერთგვარ მწარე ბალახში.

* * *

ეგრედ წოდებული ნათელ-თევზა (акула) შავს ზღვაშიაც ყოფილა. ეს თევზი მტაცებელთა და ხორცის მჭამელთა ჯიშს ეკუთვნის და კაცის ხორცსაც არ ერიდება. ამას წინად ანაპაში, თავთ-სადგურის მახლობლად, თვალით მოუკრავთ რამდენიმე ასეთ თევზისთვის. სიგრძე თევზს ოთხი ადლი ჰქონია. ამ ამბავს ყველანი დაუშინებია, საბანაოდ ზღვაში აღარავინ მიდიოდა თურმე. წინადაც უნახავთ ნათელ-თევზა ანაპაში. ამ ორის წლის წინად ერთი ასეთი თევზი ისე ახლო მისულა ნაპირთან, რომ ერთ მობანავეს დასცემია თავს, მაგრამ ზღვაში წათრევა ვერ მოუხერხებია და მხოლოდ ფეხები დაუკბენია.

* * *

უთუოდ მკითხველს ყურადღება მიუქცევია როდისმე, რომ გაბმულ ტელეგრაფისა ან ტელეფონის მავთულს ყოველთვის რაღაც ხმაურობა და გუგუნი გააქვს, რომელიც ხან-და-ხან შორს მანძილზედაც ისმის. ნემეცური ჟურნალი „Des Wetter"-ი იუწყება, რომ ამ მავთულების სხვა-და-სხვა გვარ ხმაურობაზედ კაცს ადვილად შეუძლიან შეიტყოს, ცუდი ამინდი იქმნება თუ არაო. ჟურნალში ექიმი ეიდამი გვარწმუნებს, რომ ამ ხმაურობის სხვა-და-სხვაობით შეიძლება იმის გაგება, რამდენის საათის შემდეგ იქმნება წვიმა ან თოვლიო. უთუოდ ამისი მიზეზი, ამბობს იგივე ექიმი, ქარის სხვა-და-სხვანაირი ქროლვა იქმნება, რომელიც შესაფერ, კარგის ან ცუდის ამინდის მომასწავებელ, ტონებს იწვევსო. ეს მოვლენა ჯერ სულ არ არის შესწავლილი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გერმანიის ელჩი თავისს სახლობით საზღვარ-გარედ წავიდა.

**ტიან-ძინი.** მტკიცდება პაოტინფუსა და რკინის გზის ლიანდაგის დაპყრობის შესახები ცნობა. ქალაქი ზუავების ბატალიონმა დაიჭირა ორის ზარბაზნითა და ერთის ესკადრონით, მტერს წინააღმდეგობა არ გაუწევია. იერიშის მიტანის დროს, ჯარები რომ მივიდნენ, ქალაქის გალავანზე თეთრი დროშა ფრიალებდა.

**ვაშინგტონი.** ჩინეთის მთავრობამ ითხოვა, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკება პეკინში ხვალ იქმნეს დაწყებული. ჩინეთის წინადადებაზე გარეშე საქმეთა სამინისტროს პასუხი ჯერ არ მიუცია. ამბობენ, რომ მთავრობა საკმარისად არ სთვლისო ჩინეთის წინადადებებს. კონჯერმა აცნობა მთავრობას, რომ მას კითხვა მიუცია, ნამდვილია ჩინეთის ედიქტი თუ არაო.

მაკ-კინლეიმ ჩინეთის იმპერატორის წერილი მიიღო. ამ წერილზე

---

აქედგანა სჩანს, რომ ბელგიაში გადმოსახლებულთა რიცხვი 11,750 კაცით აღემატება აქედგან გადასახლებულთა რიცხვს. რით აიხსნება ეს მოვლენა? — მხოლოდ იმითი, რომ მრეწველობა, ვაჭრობა და მეურნეობა ამ პატარა სახელმწიფოში ერთნაირად მაღლა სდგას, ერთნაირად ძლიერაა განვითარებული. მაგრამ ამაზედ საუბარი ქვევით გვექნება.

მატარებელი ბრუგს მიუახლოვდა. ეს ქალაქი იმითია შესანიშნავი, რომ აქ ხისაგან მშვენიერ ქანდაკებებს და ჩუქურთმულ ნაწარმოებს ამზადებენ. ოთხ-კუთხიანი კოშკი მთავარ ეკკლესიისა, საღამოს მზის სხივებით განათებული, ამაყად და კოხტად გამოიყურებოდა შორიდგან. სხვა ეკკლესიათა და ძველებურ შენობათა სამრეკლოები და გუმბათები გარს შემოჰხვეოდნენ და მხარს უმშვენებდნენ ამ კოხტა და კოპწია კოშკს. პატარა ქალაქში — ბრუგში სულ 50 ათასი მცხოვრებია — მთლად ბაღებსა და ბოსტნების მწვანეში იყო დამალული.

— აი ესეც დასავლეთ ფლანდრიის დედა-ქალაქი. აქ მსხვილი ინდუსტრია ნაკლებადაა განვითარებული. მეურნეობა და წვრილი მრეწველობა შეადგენს მცხოვრებთა უმთავრესს საქმეს. დიდის ქალაქების სიახლოვე, განსაკუთრებით სიახლოვე მრავალ მილიონებით დასახლებულ ლონდონისა, ფოლკსტონისა, დუვრისა, შეძლებას აძლევს მცხოვრებთ კარგად გაასაღონ ყვავილები, ხილი, ბოსტნეულობა, რძე, ერბო და მეურნეობის სხვა ნაწარმოები.

— ნუ თუ აქაური მცხოვრებნი თავიანთ ნაწარმოებს ლონდონის ბაზარში ჰგზავნიან?

— ლონდონი და საზოგადოდ ინგლისი უპირველესი ბაზარია არა მარტო ზღვის ნაპირას მდებარე ჩვენის პროვინციისათვის, არამედ ჰოლანდიისა და საფრანგეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილისათვისაც. როგორც აქ, ისე ჰოლანდიაში მთელი პროვინციები მუშაობენ ლონდონისათვის. მაგალითად, გაარლენსა და იმის გარეშემო მდებარე ადგილებს შეგვიძლიან ლონდონის ბაღები უწოდოთ; ხოლო ჩვენი ფლანდრია იმავე გაუმაძღარ ვეშაპის ერთი უზარმაზარი ბოსტანია. აბა გაჰხედეთ, მთელი მინდვრებია აჰრელებული კომბოსტოთი, — ესეც ლონდონისთვისაა. აი ვარდით დათესილი მინდორიც. იქმნება იფიქროთ კიდეც, რომ ეს ამოდენა მინდორი დასთესა რომელმამე გლეხმა, ვარდის უზომოდ მოყვარულმა სულელმა. არა, ამ ვარდებს, ხილს, კომბოსტოს, კართოფილს, ბოლოკს და სხვას, ისევე, როგორც გაარლენის ზამბახსა, სუმბულსა და ნარგიზს ლონდონისათვის ამზადებენ. ეს კიდევ არაფერია: ამ ბოლოს დროს ყვავილების ვაჭრობაში ლონდონის ბაზარზედ ნიცამაც დაგვიწყო მეტოქობა...

— ნუ-თუ ხმელთა-შუა ზღვის ნაპირებიდგანაც ეზიდებიან ყვავილებს ლონდონში? — გავიკვირვე. — ამისთვის საფრანგეთში განსაკუთრებული პატარა მატარებლებია. განსაკუთრებული ვაგონებია ყოველ-დღე მიაქანებენ მთელ საფრანგეთზედ ლონდონისაკენ ყვავილებს. ყვავილებით ვაჭრობა დიდი და კარგად მოწყობილი საქმეა...

აქ ჩემდა უნებურად მომაგონდა ვენი მრავალ მილიონის მარგანეცის საქმე და ის ტანჯვა-წვალებანი და უწესოებანი, რომელიც ამ საქმეს ახლავან. უმდიდრეს მადნებიდგან დედამიწის ზურგზედ, მთელის ქვეყნის მარგანეცის ნახევარს, როგორც ვუწყით, ყვირილის ხეობით ეზიდებიან. საუკუნით მოელის ბატონობა ჩვენ მარგანეცს ფოლადის საქმეში, და ისეთი გზები-კი ვერ გავმართეთ, სადაც საქონელს გადატვირთვა-დატვირთვა არა სჭირდებოდეს, არც საკმაო ვაგონები მოგვეპოვება და ვერც ისეთი ნავთ სადგური გამოვძებნეთ, სადაც გემებს ცდა და ჯარიმის მიცემა არ უხდებოდეთ... ჩვენი მწარმოებელნი იმის მაგიერ, რომ საქმე კაცურად მოაწყონ და მრეწველობას ფართო გზა მოუპოვონ, ჭორებსა და ინტრიგებში ატარებენ დროს. მარგანეცს ისევე, როგორც ნიცცისა და გაარლენის ყვავილებს, როგორც ფლანდრიის ბოსტნეულობასა და ხილს დიდი ბაზარი აქვს და როგორც ევროპიელ მრეწველთ შეამოკლეს გზა საქონლის გადასაზიდად, მოაწყეს და შემოიღეს მსწრაფლ-მოსიარულე მატარებლები, ისე ჩვენ მრეწველთა ჰმართებთ მთელი თავიანთი ყურადღება მიაქციონ იმ დაბრკოლებათა აცდენას, რომელნიც აფერხებენ მსწრაფლად და საჩქაროდ საქონლის გადაზიდვას. აქაც, ევროპაშიაც, დიდი ბრძოლა მოუხდათ სხვა-და-სხვა დაბრკოლებასთან, მაგრამ საერთო ძალით, საერთო მეცადინეობით და სძლიეს დაბრკოლებანი. ჩვენი მრეწველნი?.. მაგრამ აქ აზრები ჩემმა თანამგზავრმა შემაწყვეტინა.

— ჰხედავთ აგერ იმ სათბილობლებს, პატარა ორანჟერეიებს?

— როგორ არა, აქედგან ბლომად მოსჩანს.

— ბევრს ადგილას ამ გვარის ორანჟერეიებით მთელი აკრებია დაფენილი. შუშა აქ იაფია; აგური დაბალ კედლებისათვის თითქმის გროშადა ჯდება. ხოლო ათბობს ამ ორანჟერეიებს მზე, ეს მუდმივი წყარო სინათლისა, ცხოვრებისა და სითბოსი. და აი ჩვენის აღყვავებულის ფლანდრიის მინდვრები თან-და-თან ამ გვარის ორანჟერეიებით იმოსება, სადაც მოჰყავთ გლეხებს კიტრი, ნესვი, წითელი ბადრიჯანი და სადაც ყურძენი მწიფდება. ყველა ეს ადრე მწიფდება, ადრე იგზავნება ლონდონისა და ჩვენს საკუთარ ბაზრებში, და ჩვენნი მცხოვრებნი, რომელთა მიწა-ადგილშიაც ბუნებით არა ჰხარობს ყურძენი, ყიდულობენ ყურძენსა და ხილეულობას ისევე იაფად, როგორც სამხრეთ საფრანგეთისა და შვეიცარიის მცხოვრებნი.

ვ. მარველი

(გაგრძელება იქმნება)

მიწერილ პასუხში პრეზიდენტი აცხადებს იმედს, რომ ზავის შესახე მოლაპარაკება დაიწყება იმ წამსვე, რა წამსაც-კი ნაწყენი მთავრობანი დარწმუნდებიან, რომ იმპერატორს შეუძლიან უმთავრესნი პასუხის მგებელნი საკმაოდ სასტიკად დასაჯოს.

**ბერლინი.** ელჩ გრაფ გაცფელდ სა და მარკიზ სალიუსბერის შუა ერთმანეთთან ნოტების გაგზავნით 3 ოქტომბერს ლონდონში შემდეგი შეთანხმება მოხდა: გერმანიისა და დიდი ბრიტანიის მთავრობანი თავიანთ ინტერესების დასაცველად ჩინეთში და ეგრეთვე იმ უფლებათა დასაცველად, რომელნიც დაფუძნებულ არიან აწ არსებულს კონვენციებზე, ერთმანეთთან შეთანხმდნენ, რომ ჩინეთის პოლიტიკაში შემდეგნი დედა-აზრნი დაიცვან: პირველი, საზოგადო და მტკიცე საერთაშორისო ინტერესებისათვის საჭიროა, რომ ჩინეთის მდინარეებსა და ზღვის პირებზედ მდებარე ბოლაზებში ალებ-მიცემობა და ყოველნაირი სამეურნეო მოქმედება თავისუფალი და ნება დართული იყოს ყველა ეროვნების წარმომადგენელთათვის; ორივე მთავრობა თანახმანი არიან დაიცვან ეს დედა აზრი მთელს ჩინეთის მიწა-წყალზე, სადაც მათ შეუძლიანთ გავლენა იქონიონ; მეორე, ორივე მთავრობას არა ჰსურთ ისარგებლონ თავიანთის მხრივ ეხლანდელი არეულობით რაიმე ადგილები დაიპყრან ჩინეთის სამფლობელოში და სწადიანთ ისე წაჰმართონ თავიანთი პოლიტიკა, რომ ადგილ-მამული ჩინეთის იმპერიისა არ იქმნას შემცირებული; მესამე, იმ შემთხვევაში, თუ სხვა სახელმწიფონი ისარგებლებენ ჩინეთის არეულობითა და ადგილებს დაიჭერენ, ორივე შეთანხმებული მთავრობა აძლევენ თავიანთს თავს უფლებას—დაიწყონ მოსამზადებელი მოლაპარაკება თავიანთის საკუთარ ინტერესების დასაფარავად და საჭირო ზომები მიიღონ; მეოთხე, ორივე მთავრობა წინადადებას მისცემენ სხვა სახელმწიფოთ, მეტადრე საფრანგეთს, იტალიას, იაპონიას, ავსტრო-უნგრეთს, რუსეთსა და შეერთებულ შტატებს, რომ ამ შეთანხმებაში შემოუერთდნენ აღწერილ დედა აზრებს.

**შანხაი.** იმპერატორის სახლობა ტუნვანის ხეობაში მივიდა, სადაც პროვინცია შანსი და ხუნანი იყრებიან. როგორც ჰფიქრობენ, პარასკევს სინანფუში მივა, რომელიც 80 მილის მანძილზე მდებარეობს დასავლეთით.

პაოტინფუდან ჯარების მიერ სამხრეთისაკენ გარეკილი „დიდი მუშტი“ თავ-შესაფარს შანდუნის პროვინციაში ეძებს. „დიდი მუშტის“ აქ გაჩენა ახალს ამბოხებასა და აჯანყებას ჰბადებს ქრისტიანების სამტროდ. გუბერნატორი ყველა ზომებსა ხმარობს უწესოების აღსაგმავად.

**მოსკოვი.** სასამართლოში დავიდოვის საქმის გარჩევა დაიწყო, რომელსაც კბილის ექიმის ვინავერის მოკვლა ჰბრალდება. დავიდოვი მკვლელობაში გამოტყდა, მაგრამ გაძარცვის აზრით-კი არა, მხოლოდ გაბრაზების გამო ჩავიდინეო. ამ საქმეშივე გარეული ვოილოჩნიკოვი გამოტყდა, რომ ბოროტ-მოქმედებას იფარავდა.

**პეტერბურგი.** „Правительственный Вѣстникъ“-ში დაბეჭდილია: მთავრობის მიერ თავისს დროზედ გამოქვეყნებულს ცნობებში ნაჩვენები იყო ის საფუძველი, რომლითაც იმპერატორის მთავრობა ხელმძღვანელობდა, როდესაც პეკინიდგან რუსეთის ელჩი ტიანძინში გაიწვია, ე. ი. აზრად ჰქონდა მხოლოდ ის, რომ ჩინეთთან მალე ძველი დამოკიდებულება აღედგინა და აცნობებდა, რომ თუ ჩინეთის მთავრობა სახელმწიფოებთან მშვიდობიანად მოსალაპარაკებლად თავისს წარმომადგენლებს დაჰნიშნავს, მაშინ რუსეთიც, უცხო სახელმწიფოებთან შეთანხმებით, არ დაყოვნდებოდა და ამ აზრით თავისს რწმუნებულებს დაჰნიშნავს, სადაც იქნება ადგილი ამორჩეული მოსალაპარაკებლადაო. ბოგდიხანის ბრძანებით პეკინში მყოფი ლიხუნგ-ჩანგი და ცინი ჩინეთის მთავრობის დელეგატებათ არიან დანიშნულნი და შესაფერი რწმუნების ქაღალდებიც მიცემული აქვთ, რომ უცხო სახელმწიფოებთან პირდაპირი დამოკიდებულება და მოლაპარაკება იქონიონ. ამისათვის, უმაღლესი ბრძანებით, მიეწერება ჩინეთში მყოფს რუსეთის ელჩს დაბრუნდეს სატახტო ქალაქში, რომ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად ჩინელების რწმუნებულებთან მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს. 2 ოქტომბერს გაგზავნილის დეპეშით იუწყება გირსი, რომ იგი ტიან-ძინიდგან პეკინს წასულა.

ფინანსთა სამინისტროსაგან: „რადგანაც უცხოეთის გაზეთებში კვლავ დაიბეჭდა სიმართლეს მოკლებული ცნობები, ვითომ რუსეთის მთავრობას განზრახვა ჰქონდეს საზღვარ-გარედ ისესხოს ფული, ამისათვის ფინანსთა სამინისტრო საჭიროდ სთვლის გამოაცხადოს, რომ მთავრობას არც აქვს განზრახვა და არც უძებნია ფული სესხად, რადგანაც მიმდინარე სახელმწიფო შემოსავალი და ნაღდი ფული სრულიად ჰფარავს როგორც ჩვეულებრივს სახელმწიფო ხარჯს, ისე იმ ხარჯსაც, რომელიც შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა გარემოებამ გამოიწვია. ყველა ის ცნობები, რომლებიც ამ მოგონილ სესხის შესახებ დაიბეჭდა სააგენტოთა დეპეშებსა და გაზეთებში, მხოლოდ იმ ადვილად გამდიდრების მაღის მქონეთა საქმეა, რომლებიც მუდამ მზად არიან, მაგრამ უქმად-კი, რომ ფინანსთა სამინისტროს თავისი სამსახური გაუწიონ.“

**ტიან-ძინი.** ინგლისის ძველი ჯარი და არტილერია გონკონგში იქმნა გაწვეული. ინგლისის ჩინეთის რაზმი ვეი-ხაი-ვეიში ბრუნდება. გერმანიის მისიის მდივანი ფონ-ბოლენი პეკინს წავიდა. ელჩი მუმმიც სხვასთან ერთად ამ დღეებში წავა პეკინში.

**ვაშინგტონი.** ინგლის-გერმანიის შეთანხმების პირობები გარეშე საქმეთა მინისტრისათვის ჯერ კიდევ ოფიციალურად არ უცნობებიათ, მიუხედავად ამისა, თანხმობის შესახებ მაინც ყველა კმაყოფილია ვაშინგტონში. მთავრობის წრეებში მაინც ყურადღებას აქცევენ იმ გარამოებას, რომ 20 ივნისს გამოცხადებულს გეის ნოტაში ნათქვამია, რომ შეერთებულ შტატების პოლიტიკა, სხვათა შორის, იმ აზრს ადგია, რომ ჩინეთი ტერიტორიულადა ადმინისტრატიულად ხელშეუხებელი დარჩესო და აგრეთვე ყველასათვის დაცულ იქმნეს პრინციპი თანასწორ ვაჭრობისა იმპერიის ყველა ადგილებში. შეერთებული შტატები მით უფრო სიამოვნებით შეუერთდება ამ შეთანხმებას, რომ იგიც სწორედ ამის მოსურნეაო.

**მოსკოვი.** ნაფიც ვექილთა ვერდიქტით ვოილეშნიკოვი გამართლდა, დავიდოვი ვინავერის მოკვლაში დამნაშავეთ იქმნა ცნობილი და აზრად გაძარცვა ჰქონია, მაგრამ წინადვე მოფიქრებით არ უმოქმედნიაო. სასამართლომ დავიდოვს ყველა უფლები აჰყარა და 8 წლით კატორგაში გაგზავნა გარდაუწყვიტა.

9 ოქტომბერი

**პეკინი.** პაოტინფუ დაიპყრო ბაიიუს რაზმმა უწინარეს, ვიდრე საერთაშორისო რაზმი მოვიდოდა პეკინიდგან. საფრანგეთის ჯარი სამაგალითოდ იქცევა. განსაკუთრებით კარგად დაუხვდნენ მკვიდრნი ფრანგთა ჯარს, რომელიც საერთაშორისო რაზმში ურევია, მაშინ, როდესაც იგივე მკვიდრნი გერმანელ ჯარის-კაცთა მიერ ჩადენილს ძარცვას უჩივიან. ყოველს სოფელში, ლიუგუჩეიაოდგან დაწყებული, საფრანგეთის დროშაა ამართული. ჩჟოუ ჩჟოუში 200 ჯარის-კაცია. ლიუგუჩეიაო მაშინვე განათავისუფლეს საფრანგეთის კაპიტანის სიტყვიერ წინადადებისათანავე.—პეკინში გირსს ამ კვირია მოელიან.

**ლორენცო მარკეზი.** კრიუგერი წავიდა „გირდერლანდის“ გემით.

**დურბანი.** ბულლერი ინგლისს ავიდა.

**ნიუ-იორკი.** ტიანძინიდგან იუწყებიან, რომ, როგორც პაოტინფუდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარს ქალაქი საფრანგეთის რაზმის მიერ დაპყრობილი დახვედრია. ფრანგები ამტკიცებენ თურმე, რომ ეს რაზმი წინამავალი რაზმთა მოკავშირეთა ჯარისაო, მაგრამ ამისდა მიუხედავად გერმანელები და ინგლისელები დიდად უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ დიდის მოწადინებით მომზადებულ ექსპედიციის ნაყოფი ხელიდგან გამოეცალათ. ჩინელი შიკრიკები დაბეჯითებით ამბობენ, რომ პაოტინფუს გზად მყოფს სოფლებში გერმანელებს და ფრანგებს მრავალგან ისეთი ძარცვა მოუხდენიათ, რაც საქმის საჭიროებით არ არის გამოწვეულიო. როგორც ხმა ისმის, პაოტინფუს დაიჭირეს გერმანელთა ძლიერი მეციხოვნე ჯარი.—პეკინიდგან 6 ოქტომბრის თარიღით მოსული დეპეშა იუწყება, რომ უცხო-ქვეყნის ელჩნი ჯერ კიდევ არ არიან მზად ხვალისთვის დანიშნულ ლიხუნგჩანგან და ცინთან შესახვედრად; ამიტომ ეს შეხვედრა, უეჭველია, გადადებული იქნებაო.—ვალდერზეემ განაცხადა დღეს, რომ ლაშქრობას დაბოლოვებულადა ვთვლი და ყელი, რომ ჩქარა გამიხმობენ აქედგანაო.

**ჰონგკონგი.** კანტონიდგან იუწყებიან, რომ ამბოხება აღმოსავლეთის მდინარის ახლომახლო ვრცელდებაო. ჩაკლუნის მცხოვრებნი ეჭვობენ, რომ სამხედრო მთავრობამ მკვიდრთა დაცვა შეიძლოს. ჩინელები ამბობენ, რომ 10 ოქტომბერს დადგება დღე, დანიშნული ყველა ქრისტიანთა სამისსიოთა დასანგრევადა და გუანდუნში მყოფ ჩინელ ქრისტიანთა ამოსაჟლეტადაო.

**ნიუ-იორკი.** სტატს-სეკრეტარი გეი საფრანგეთის უკანასკნელ ნოტის პასუხად იმ აზრს გამოსთქვამს, მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება დიდთა სახელმწიფოთა იმ ერთობილის განცხადებით უნდა დაიწყოს, რომ უზრუნველ-ყოფილი იქმნება ჩინეთის იმპერიის სამფლობელოს მრთელობა, ერთის მხრივ, და თავისუფალი ვაჭრობა ყველა ეროვნებისათვისაო, მეორე მხრივ.

**მადრიდი.** მინისტრ სილველასთან შეუთანხმობლობისა გამო მინისტრთა საბჭომ დაადგინა შეეკითხოს დედოფალს რ-ეგენტს ნდობის შესახებ, შვიდს საათზედ წავლენ მინისტრები სასახლეში, რათა თხოვნა მიართვან დედოფალს კაბინეთის სამსახურიდგან გასვლისა. ძნელია ამ თავითვე იმის თქმა, თუ რა გარდაწყვეტილებას დაადგება დედოფალი.

## წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, ვინც კეთილ-ინება და სოფელ სნოს ახლად გახსნილ სკოლას 17 ენკენისთვეს, კურთხევის დღეს, ფული შემოსწირა. სია შემომწირველთა: ციფო გელაშვილმა 5 მან; იობა ღუდუშაურმა 5 მან, ივანე პაპიაშვილმა 5 მან, სოფელ სიონის მცხოვრებლებმა 5 მან; ბულაანთ სვიმონამ 5 მან; ალექსი გოდერძიშვილმა 5 მან; სოფელ სნომ 5 მან; მღ. გიორგი სირაძემ 3 მან; ყაზბეგის სადგურის უფროსმა ბ. გერსკიმ 3 მან; ნიკოლოზ ჯაბანაშვილმა 3 მან; გიორგი ხართიშვილმა 3 მან; სვიმონა ღუდუშაურმა 3 მან; კახელა პაპიაშვილმა 3 მან; ადამა ფირანიშვილმა 3 მან; დავითა დავითაშვილმა 2 მან; შიო ოდიშვილმა 2 მან; ბლაღოჩინმა იროდიონ სისაუროვმა 2 მან; დეკანოზმა იტონიევმა 2 მან; მღ. ზაქარია პეტრიევმა 2 მან; მღ. ზაქარია კობაიძემ 2 მან; მიხა ელიაძემ 2 მან; დიმიტრი ფირანიშვილმა 2 მან., ნინიანთ მიხამ 2 მან., მოსე შიოლაშვილმა 2 მან., ბესო შიოლაშვილმა 2 მან., კაცია ბულაშვილმა 2 მან., სოფ. სიონის მცხოვრებმა გლახა ყარაჭაშვილმა 1 მან., სვიმონა ყადურმა ყაზბეგიდგან 1 მ., ივანე ფიცხელაურმა 1 მან., ნიკო პაპიაშვილმა 1 მან., გიორგი ახაჩულმა ართიდგან 1 მან., ძიძია შიოლაშვილმა 1 მან., იაკობ ელიაძემ 1 მან., ბათურა მარსაგიშვილმა 1 მან., ივანე ელიაშვილმა 1 მან., დავით არაბელმა 1 მ., კაჭურა ფირანიშვილმა 1 მან., ივანე შიოლაშვილმა 1 მან., ბზიკა ველაშვილმა 1 მან., ივანე ტაბანაშვილმა 1 მან, პეტრე გოდერძიშვილმა 1 მან., ბესო ფირანაშვილმა 1 მან., კოტია ჯანიყაშვილმა 1 მან., ვანია ჯანიყაშვილმა 1 მან., გიორგი ფირანიშვილმა 1 მან., ქორიამ 1 მან., ლევანა კოტოლაშვილმა 1 მან., ლევანა ღუდუშაურმა 1 მან., ჯაყაანთ სვიმონამ 1 მან., ივანე ჯოჯიკაშვილმა 1 მან., ლომიანთ ლევანამ 50 კაპ., მხოლოდ ბულაანთ სვიმონამ; ფულის გარდა, გიორგი ხეთაგუროვმა ყაზბეგიდგან და აქაანთ გიორგიმ შემოსწირეს თითო ცხვარი.

ზემოდ მოხსენებული ფული, დანიშნულებისამებრ, გადაცემულ იქმნა, სადაც ჯერ არს, ინსპექტორის ბ. ევტიხი მამინაიშვილისა და ადგილობრივის სკოლის გამგეობის მოდობილობით.

მასწავლებელი ე. სირბილაძე

1900 წ. 4 ღვინობისთვე.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული. პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

10 ოქტომბერი

ივანე აბაშიძისა და სარდალ ჯამბოტაშვილისა, რომელთაც მკვლელობის ჩადენის განზრახვა ჰბრალდებათ.

იაკობ ნათაძისა—ქურდობის ჩადენა ჰბრალდება.

ივანე კოხტაშვილისა—მკვლელობის განზრახვის ჩადენა ჰბრალდება.

სიმონ ბეგოიძისა—მკვლელობის განზრახვის ჩადენა ჰპრალდება.

14 ოქტომბერი.

მიხეილ ბერიკაციშვილისა—კაცის დაჭრა ჰბრალდება.

ალექსანდრე ლორთქიფანიძისა—მკვლელობის განზრახვის ჩადენა, ქურდობა და სხვისი ნივთების მითვისება ჰბრალდება.

სერაპიონ და კესარია ბიწაძეებისა და ნატალია ჭყონიასი, რომელთაც სასჯელ. დებ. მე-1690 მუხ. აღნიშნულ დანაშაული ჩადენა ჰბრალდებათ.

## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ იგი იჯარით აძლევს ქალაქის ოთხს დუქანს, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩის ბოლოში, ალექსანდრეს ბაღში შესულ ოთხ-კუთხედზედ. ამ დუქნების იჯარით აღების მსურველს პირობათა შეტყობა შეუძლიან ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. (3—ნ.—1)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—б.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე